



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ო კ მ ი N14**

ქ. მარნეული

07.09.2015 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ,  
 რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ვალი ისმაილოვი, ვანო  
 ბურნაძე, აბიდ ოსმანოვი, გიორგი შუკაკიძე, ირაკლი  
 ბურნაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ქამილ ალიევი, რამიზ  
 გულმამედოვი, ჯომგუნ ზეინალოვი, ლერი მუმლაძე,  
 რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, მახირ იუსუბოვი, ბესიკ  
 გუჯეჯიანი, გივი ქველაძე, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი,  
 მამედ მამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, ელხან მუსტაფაევი,  
 რაფიკ ჯაფაროვი, ლევონ აკოპიანი, ზურაბ სხირტლაძე,  
 რაგიმ ასკეროვი, ნიზამი ვალიევი, სულეიმან ხალილოვი.

**არ ესწრებოდა:** - ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი.

**სხდომას ესწრებოდა:** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე  
 ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
 საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ  
 მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური  
 განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი  
 ტარიელ მუსაევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის  
 მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო  
 განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, მარნეულის  
 მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თაბაშემწე  
 გენდერულ საკითხებში ია ესებუა.

**პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:** „მარნეული TV“-ს ტელევიზიის  
 წარმომადგენლები, გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი ქამილ  
 მუსაევი, სამართლიანი არჩევნების მარნეულის  
 კოორდინატორი ლანა ხეხელაშვილი.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2015 წლის ბიუჯეტის 6 თვის შედეგების შესახებ.
3. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაპანახჩის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ელხან მუფტიევის განცხადების განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადების განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადების განხილვის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის ხოჯორნის ტერიტორიული ერთეულის სოფელ ბრდაზორის მცხოვრებთა განცხადების განხილვის შესახებ
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3086 განხილვის შესახებ.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 31 ივლისის N1762-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2138-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 17 აგვისტოს N1954-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
14. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2015 წლის 25 აგვისტოს N1866665 წერილის განხილვის შესახებ
15. წერაქვის მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ
16. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2137-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
17. მარნეულის მუნიციპალიტეტის ყულარის ტერიტორიულ ერთეულის სოფელ წითელსოფელში საბავშვო ბაღის ჯგუფის გახსნის შესახებ
18. სოციალური საკითხი

19. „მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, კონკურსის წესისა და ტესტირებაში გამსვლელი მინიმალური ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის N40 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

### განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ საკრებულოს წევრთა წინაშე დააყენა საკითხი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის N13 განკარგულების შესახებ, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში (საიმერლოს, თამარისის და შულავერის საბავშვო ბაღები) საშტატო ერთეულების დამატებას და რომელიც არ შესრულებულა. აღინიშნა, რომ სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღში ბავშვთა დიდი ნაკადის გამო, აუცილებელია მინიმუმ ერთი ჯგუფის დამატება, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი საშტატო ერთეულის დამატება, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და ვინაიდან ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“ არის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში, გამოითქვა წინადადება, რომ საკითხი, საოქმო დავალების სახით, გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N32. 07.09.2015 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს მუხლობრივად გააცნო 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შედეგები როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯვით ნაწილში და უპასუხა დასმულ შეკითხვებს. აღინიშნა, რომ შედარებით ჩამორჩენა შეინიშნება ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხების გახარჯვის მხრივ, რაც გამოსწორებულია უკვე საკითხის განხილვის დროს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N138. 07.09.2015 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი მეტრეველმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის ახალი შემადგენლობა თავმჯდომარე **ზურაბ ჭონიაშვილი**. წევრები: **ქამილ ალიევი** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **კონსტანტინე გეგელიძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი; **გოჩა გოლოშვილი** - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი; **შადიმან გაგნიძე** - სსდ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამსახურის ინსპექტორების განყოფილების

მთავარი ინსპექტორი; **როენა ახობაძე** - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი; **გიორგი კავლელაშვილი** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი. ასევე კომისიას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაემატება შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი და გამგებლის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N128. 07.09.2015 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ საკითხი კიდევ ერთხელ იქნეს გადადებული, რათა საბოლოოდ იქნეს შეჯერებული ყველა მოსაზრება, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კაპანახჩის მაჟორიტარი დეპუტატის ელხან მუფტიევის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 700 ლარის გადარიცხვა ს/ს ენერგო პრო ჯორჯიას ანგარიშზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კესალოში მშენებარე მონასტრის მიერ 2015 წლის თებერვლიდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N132. 07.09.2015 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატის რაგიმ ასკეროვის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს ქალაქ მარნეულში მდებარე მეჩეთების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად ქვითარი N50/10360165-ს მიხედვით 37 ლარი და 88 თეთრი და ქვითარი N 50/10360164-ს მიხედვით - 134 ლარი და 75 თეთრის გადარიცხვა მეჩეთის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N133. 07.09.2015 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნში მცხოვრებ მოქალაქე არსენ ახვერდიანისათვის 2 წლის ვადით, ყოველთვიურად 250 ლარის გადარიცხვა ბინის ქირის გადასახადისათვის, ვინაიდან მას ხანძრის შედეგად მთლიანად გაუნადგურდა საცხოვრებელი სახლი და ოჯახთან ერთად დარჩა საცხოვრებლის გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N134. 07.09.2015 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი, რომლს მიხედვითაც საკრებულოს წევრებს (რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები), ყოველთვიურ ხარჯად განესაზღვრება 397 ლარი. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ სადეპუტატო უფლებამოსილების სრულად და ეფექტურად განხორციელებისათვის, მათ შეუნარჩუნდეთ საწვავისა და სატელეფონო საუბრის ლიმიტი, რადგან სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხები არასაკმარისია იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ თვის განმავლობაში საკრებულოს სხდომების, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მუშაობაში, მით უფრო რომ საკრებულოს სხდომები ხშირ შემთხვევაში იმართება თვეში რამდენიმეჯერ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N31. 07.09.2015 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის ხოჯორნის ტერიტორიული ერთეულის სოფელ ბრდაზორის მოსახლეობის განცხადება და ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 150 ლიტრი დიზელის საწვავის გამოყოფა სოფელ ბრდაზორის მოსახლეობისათვის, რომლებიც საკუთარი ძალებით მოაწესრიგებენ და მოხრეშავენ სოფელ ბრდაზორის შიდა სასოფლო გზას.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N136. 07.09.2015 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3086 წერილით შემოსული დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სამგზის არშემდგარი ტენდერის გამო, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერეთელსა და სოფელ თაქალოში სარწყავ არხებზე გადასასვლელი ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოების მომსახურების შესყიდვა განხორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N131. 07.09.2015 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3073 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 31 ივლისის N1762-03 მოხსენებითი ბარათით

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქალაქე თეიმურ სულეიმანოვის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკენტარიზაციის არქივში აღრიცხულია შემდეგი მონაცემებით: ქალაქი მარნეული, ბორჩალოელის ქუჩა N20ა, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ბორჩალოელის ქუჩა N36.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N137. 07.09.2015 წ).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3085 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2138-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ქალაქ მარნეულში, გიორგაძის ქუჩა N3<sup>ა</sup> საცხოვრებელი კორპუსის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გიორგაძის ქუჩა“-ს კორპუსზე მისაკუთვნებელი დაზუსტებული მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები (წითელი ხაზები) და იგი განისაზღვროს ინდ. მეწარმე „ეკატერინე აფრასიმის“ მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 1 413მ<sup>2</sup>; შენობა-ნაგებობების განაშენიანების ფართი - 671მ<sup>2</sup>).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N139.07.09.2015 წ).

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 21 აგვისტოს N03/2872 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა შევიდეს ცვლილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 15 აპრილის N46 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის N64 განკარგულების პირველ პუნქტში და ქალაქ მარნეულში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ს.მ.პ. 243“-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი დაზუსტებული მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები განისაზღვროს ი/მ „ალახვერდი მამედოვი“-ს მიერ შესრულებული კორექტირებულ აზომვით ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N124. 03.08.2015 წ).

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 4 სექტემბრის N03/3123 წერილით შემოსული ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის N2161-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს კანონის 122-ე მუხლის საფუძველზე ითხოვა

მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა SKODA SUPER B სახ. N FCF-696, გამოშვების წელი -2011, საიდ. ნომერი TMBAB43T2C9029379, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობისათვის, თხოვების ფორმით გადასცეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N130. 07.09.2015 წ).

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გაუკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, სოფელ წერაქვში აღინიშნება დიდი ქართველი მწერლისა და კლასიკოსის მიხეილ ჯავახიშვილს იუბილე, რისთვისაც აუცილებელია მოხდეს მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმისა და ეზოს მოპირკეთება. აღნიშნული სამუშაოებისათვის ტენდერის გამოცხადება ვერ მოესწრება, რისთვისაც საჭირო გახდება სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და გამოთქვეს აზრი, რომ საკითხის განხილვას მიუბრუნდებიან მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლიდან შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ აბიდ ოსმანოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 სექტემბრის N03/3084 წერილით წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 2 სექტემბრის N2137-03 მოხსენებითი ბარათი და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს კანონის 122-ე მუხლის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, 44 ერთეული ნაგვის ბორბლებიანი კონტეინერი სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასცეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „სუფთა მარნეულს“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N135. 07.09.2015 წ).

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ აბიდ ოსმანოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის ყულარის ტერიტორიული ერთეულის სოფელ წითელსოფელში მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, რომლებიც ითხოვენ ბიბლიოთეკის ორი ოთახი გამოყენებული იქნეს საბავშვო ბაღის ჯგუფისათვის, პირველ ეტაპზე კვების გარეშე, ვინაიდან ყულარის ტერიტორიულ ერთეულში არ ფუნქციონირებს არცერთი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რის გამოც თუნდაც ერთი ჯგუფის ფუნქციონირება აუცილებელია, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და გამოთქვეს აზრი ზემოაღნიშნული განცხადება გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

18. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთვრამეტე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაფიკ მუსაევი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, კომისიის წევრმა ბესიკ გუჯაჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც

საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურისათვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში, ასევე გააკეთა ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაცემული საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულების შესახებ და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწევათ სხვადასხვა დახმარებები **ერთჯერადი დახმარებისათვის** - მურად ხამედოვს-100ლარი, ბელა გვიდანს-100ლარი, საბირ აბდულაევს-100ლარი, ელზა მირზაევას-100ლარი, სერგო პეტროსიანს-100ლარი, დარეჯან გელაშვილს-100ლარი, იოსებ სტეფანიას-100ლარი, ნოვე ბოჭოიძეს-100ლარი, ლეილა სარიევას-100ლარი, ზაქია ალექპეროვას-100ლარი, ქეთევან ჟუჟუნაშვილს-100ლარი, სევინ მამედოვს-100ლარი, ადილხან გორდალოვს-100ლარი, გიხხანიმ ბაირამოვს-100ლარი, იბრაგიმხალილ ხალილოვის-100ლარი, არიფ ამრახოვის-100ლარი, ორხან მამედოვს-100ლარი, ჟენია ბოჭოიძეს-100ლარი, ლიუდმილა ქიმაძეს-100ლარი, მაია ნიჭარაძეს-100ლარი, კარამ ზეინალოვს-100ლარი, ჯავანშირ პირიევს-100ლარი, დოდო მარგიანს-100ლარი, ირინა პროსვირნოვა-100ლარი, ქამანდარ სამედოვს-100ლარი, მუსანბარ ბადალოვს-100ლარი, იაშა კალაევს-100ლარი, ულკარ ჰუსეინოვს-100ლარი, მინაია რუსთამოვას-100ლარი, ტარიელ ჟორჟოლიანს-100ლარი, თახირა ასკეროვას-100ლარი, მანიჟა ჟორჟოლიანს-100ლარი და რამიზ ზეინალოვს - 100 ლარი.. **მედიკამენტებისათვის** - მიხედვით: ზანურა ემინოვს -220 ლარი, ზოხრაბ ჰასანოვს -200 ლარი, იასინ ომაროვს -295 ლარი, ელისო მთვარელიძეს -600 ლარი, რასიმ ხალილოვის დედას მინაია ქიარიმოვას -600 ლარი, ტარლან გულამოვას -250 ლარი, რუსტამ ხატიოვს -300 ლარი, ზახიდ ამიქიშიევის მეუღლეს საქინა ამიქიშიევას -400 ლარი, ასიფ გაჯიევის მამას ისმიხან გაჯიევის -300 ლარი, ელბაი ფარაჯაევის მეუღლეს ფლორა ფარაჯაევის -335 ლარი, ტურანა მუსაევას -600 ლარი, ამრახ სულთანოვს -140 ლარი, იასამან მამედოვას -145 ლარი, შუქრი ზოიძის მეუღლეს ლამზირა ზოიძეს -320 ლარი, ფარმალი ასკეროვის მეუღლეს საფაიატ ასკეროვას -400 ლარი, აშენ გაბოიანს -290 ლარი, ვაგიფ ნაიბოვს -70 ლარი. **მკურნალობისათვის** - ახმედ აზიზბეკოვის შვილს იუსიფ აზიზბეკოვს -400 ლარი, ელმან ნამაზოვის შვილს ტარიელ ნამაზოვს -130 ლარი, ახმედ ალიევის -240 ლარი. **საოპერაციო** - ლეილა გასანოვას - 350 ლარი, მინაია ალექპეროვას შვილს სევილ ალექპეროვას -225 ლარი, მულქადარ ჯაფაროვს - 550 ლარი, მამედალი მამედოვის დას განირა მამედოვას -600 ლარი, ნელი ბრეგვამეს -625 ლარი, რამილა ისმაილოვას შვილს ანარ ბაირამოვს -180 ლარი, რაფიკ სულეიმანოვს -160 ლარი, აკიფ შაბანოვის მეუღლეს ზინარა შაბანოვას -170 ლარი, ხოლო საკრებულოს მიერ გაცემული **საგარანტიო** წერილებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, ქალაქ მარნეული რუსთაველის ქ. N59-ში მცხოვრებ ილგარ გუსეინოვის მეუღლეს ელენა კილინკაროვას - 470 ლარის გადარიცხვა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში მცხოვრებ გასან აგაჯანოვის რძალს ფარგანა აგაჯანოვას - 185 ლარის გადარიცხვა, ქალაქ მარნეული ახუნდოვის ქუჩა N525 მცხოვრებ ირადა შარიფოვას - 400 ლარის გადარიცხვა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოში მცხოვრებ აბესალომ კუჭაშვილის შვილს გიორგი კუჭაშვილს - 375 ლარის გადარიცხვა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში მცხოვრებ აიტეკინ ალახვერდიევას - 120 ლარის გადარიცხვა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო სარალში მცხოვრებ ელვინ გარაჯაევს - 1450 ლარის გადარიცხვა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოში მცხოვრებ ჟუჟუნა ასანიძეს - 500 ლარის გადარიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები და განკარგულება N129. 07.09.2015 წ)

19. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრამეტე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით რომ საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, კონკურსის წესისა და ტესტირებაში გამსვლელი მინიმალური ზღვრული ოდენობის



დამტკიცების შესახებ” მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის N40 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N33. 03.08.2015 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის მეთოთხმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე: